

სსიპ – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის

ეროვნული სააგენტო

0 6 8 0 8 6 2 0 2

- შპს “საქეზამეცნიერებას” დაუმოწმდა “ბეტონის დამცავი ფენის სისქის და არმატურის ლოკატორი”, მწარმოებელი ფირმა “Advanced Engineering- Colabrad”, ინგლისი.
- შეყვანილია ექსპლუატაციაში ტექმპერატურის ერთეულის სახელმწიფო ეტალონი დიაპაზონი 0-650°C, რომელიც შედარებულია უკრაინის ეტალონთან. ეტალონი განთავსდა განახლებულ კლიმატ კონტროლით უზრუნველყოფილ ლაბორატორიაში. ეტალონი უზრუნველყოფს გაზომვების ერთიანობას საქართველოში ტექმპერატურული გაზომვების სფეროში.
- გაზომვის საშუალებების სახელმწიფო რეესტრში შეტანილია გაზომვის საშუალების სამი ტიპი: გოგირდისა და აზოტის ანალიზატორი ANTEK მოდელი 9000S (აშშ), რენდგენოფლუორესცენტული ანალიზატორი LAP-X 3000/3500 (დიდი ბრიტანეთი), გაზმარიგებელი სვეტი ESP 22/3 (იტალია).
- სააგენტომ მონაწილეობა მიიღო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (გარდაბნის კვანძი) ნავთობსადენზე გაზომვის საშუალებების მეტროლოგიურ მომსახურებაში.
- **ISO-ს მიერ მომზადებულია კითხვარი ISO 22000 საკვების უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემები – მარტივად გამოსაყენებელი კითხვარი მცირე ბიზნესისათვის. ხართ თუ არა მზად?** კითხვარი განსაზღვრულია როგორც განვითარებული ასევე განვითარებადი ქვეყნების იმ მცირე საწარმოებისათვის, რომელთათვისაც ISO 22000:2005 სტანდარტის შესაბამისი საკვების უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემები ბილეთია გლობალურ ბაზარზე შესაღწევად, საზღვარგარეთთან საკვების მიწოდების ჯაჭვში მონაწილეობისა და ბიზნესის გაფართოებისათვის. აღნიშნული კითხვარი მომზადებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და მისი ღირებულება არის 36 შვეიცარული ფრანკი, რაც მოიცავს კითხვარის ბეჭდვით ვერსიას და CD-ს. კითხვარის გაცნობა შესაძლებელია სააგენტოს ბიბლიოთეკაში. დაინტერესებულ პირებს სააგენტო გაუწევს დახმარებას მის შექმნაში.
- 28.06.2007 წ. სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ვებ - გვერდზე (gnims.caucus.net) პირველადაა განთავსებული ინფორმაცია ტექნიკური რეგლამენტების და სტანდარტების შესახებ.
- 2007 წლის 1 ივლისის მდგომარეობით რეესტრში შეტანილია 152 მეწარმე სუბიექტის სტანდარტი (მსტ).
- 2007 წლის 1 ივლისს საქართველოს შეუსრულდა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში (ISO) გაწევრიანების 1 წელი. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში რეალურად მოქმედებს 491 ისო-ს სტანდარტი, რომელიც გარკვეულწილად ხელს უწყობს წარმოების სექტორისადმი მომხმარებელთა ნდობის ამაღლებას.

2007 წლის 6 - 8 ივნისს ეროვნულმა სააგენტომ მონაწილეობა მიიღო სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფოთაშორისო საბჭოს 31 სხდომაში ქ. დუშანბეში, ტაჯიკეთის რესპუბლიკა.1. გამოვიდა პუბლიკაცია **ISO/IEC 19770-1 პროგრამული უზრუნველყოფის საკუთრების მენეჯმენტი – ხართ თუ არა მზად?** განკუთვნილი დაეხმაროს ორგანიზაციებს ISO/IEC 19770-1 სტანდარტის ნაწილი I: პროცესები, შესაბამისად სერტიფიკაციისათვის მომზადებისა და ფუნქციონირებისათვის. ის დაეხმარება მომხმარებლებს განვითარებადი ქვეყნებიდან სტანდარტის მოთხოვნების სწორად გაგებაში, ასევე განმარტავს როგორ უნდა იქნეს სტანდარტი გამოყენებული მწარმოებლის სახელმძღვანელოსთან, კონსულტანტებთან მიმართებაში საუკეთესო პრაქტიკის მისაღწევად. პუბლიკაცია მომზადებულია CD სახით მხოლოდ ინგლისურად

ერთი-მომხმარებლის ლიცენზიის პირობებზე ღირებულება 189 შვეიცარული ფრანკი და მრავალ-მომხმარებლის ლიცენზიის პირობებზე ღირებულებით 498 შვეიცარული ფრანკი.

➤ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით 2007 წლის ნოემბერში ავსტრიაში, ქ. ვენა ტარდება 2 ღონისძიება:

3-4 ნოემბერი – სემინარი განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობის მზარდი ზეგავლენა ISO SR (სოციალური პასუხისმგებლობა) სამუშაო ჯგუფში;

5-9 ნოემბერი – ISO SR სამუშაო ჯგუფის მე-5 სხდომა.

ISO-დან მიღებული ინფორმაციის მიხედვით საქართველოს სტანდარტების ეროვნული ორგანოს (NSB) მეშვეობით შეუძლია წარადგინოს არაუმეტეს 6 ექსპერტისა სტანდარტიზაციაში მონაწილე სხვადასხვა სფეროებიდან:

- მრეწველობა;
- მთავრობა;
- მომხმარებლები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- მომსახურება, კვლევა და სხვა.
-
- სააგენტოს ელექტრული გაზომვების განყოფილების ეტალონურ კომპლექსში შემავალი ტრანსფორმატორი დაკალიბრდა გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტში PTB. აღნიშნული ტრანსფორმატორი გამოიყენება ეტალონის მეტროლოგიური მახასიათებლების დასაზუსტებლად, რის შემდეგაც ეტალონი მომზადდება საერთაშორისო შედარებებში მონაწილეობისათვის. ამჟამად შესაძლებელია საქართველოს სათანადო ამოსავალი ეტალონი გამოყენებულ იქნეს 0,02 სიზუსტის კლასის და ნაკლებად ზუსტი სანიმუშო და მუშა დენის ტრანსფორმატორების დასამოწმებლად, რომლებიც გამოიყენება საქართველოს მრეწველობასა და ენერჯის სისტემაში, პირველადი დენების დიაპაზონში 1-დან 1000 ა-მდე.
-
- ISO 14000 გარემოს დაცვის მენეჯმენტი (სტანდარტების ნაკრები) – მოიცავს ახალ ან განახლებულ სტანდარტებს, რომლებიც შედის ISO/TC 207 გარემოს დაცვის მენეჯმენტის ტექნიკური კომიტეტის მიერ შემუშავებულ ISO 14000 სტანდარტების ოჯახში, რომლებიც გამოიყენება კლიმატის შეცვლის პროგრამებში, გარემოს დაცვით ნიშანდებებში, სიცოცხლის ციკლსა და გარემოს დაცვით კომუნიკაციებში. აღნიშნული სტანდარტი დაეხმარება გარემოს დაცვის ღონისძიებებში მონაწილე სუბიექტებს თანამედროვე მართვის სისტემების დანერგვაში.
-
- გაზომვის საშუალებათა სახელმწიფო რეესტრში შეტანილია და
- საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებლად დაშვებულია სითხური
- ქრომოტოგრაფი 450-MT2/EMS (იტალია).

გაზომვის საშუალებების რეესტრში შეიტანილია და საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებლად დაშვებულია ისრაელის წარმოების (ARDA ltd) ცხელი და ცივი წყლის ფრთოვანი და ტურბინული მრიცხველების 5 ტიპი.

➤ სააგენტოს რადიაციული მეტროლოგიის განყოფილებაში დასრულდა პრეცედიული აწონვის ოთახის აგება, რომელიც საშუალებას იძლევა ადგილზე დამზადდეს საბაზო ხსნარებიდან და ფხვნილებიდან საკალიბრო სანიმუშო წყაროები, რომლებიც გამოიყენება რადიომეტრების და სპექტრომეტრების დაკალიბრებისას.

- სააგენტოს რადიაციული მეტროლოგიის განყოფილებაში დასრულდა პრეცეზიული აწონვის ოთახის აგება, რომელიც საშუალებას იძლევა ადგილზე დამზადდეს საბაზო ხსნარებიდან და ფხვნილებიდან საკალიბრო სანიმუშო წყაროები, რომლებიც გამოიყენება რადიომეტრების და სპექტრომეტრების დაკალიბრებისას.
- სააგენტოში 16 ივლისს გაიმართა შეხვედრა გაეროს მრეწველობის განვითარების ორგანიზაციის (UNIDO). კონსულტანტებთან: შაჰიდ ჰასანთან და ნობუა ჰარაგუჩისთან. შეხვედრის მიზანი იყო ინფორმაციის მიღება საქართველოს მრეწველობის დარგების შემდგომი განვითარებისათვის UNIDO-სთან სავარაუდო თანამშრომლობისათვის შესარჩევი ორგანიზაციების მონიტორინგის მიზნით.